ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს ეკოლოგიის ინსტიტუტის მიზნებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებს, უფლება-მოვალეობებს, ინსტიტუტის პერსონალს, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მომზადებაში მონაწილეობასა და სხვა საკითხებს.

2. ეკოლოგიის ინსტიტუტის დებულებას შეიმუშავებს და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორთა საბჭო.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. ეკოლოგიის ინსტიტუტის მიზანია:

   ა) ბიომრავალფეროვნების, ეკოლოგიის, კონსერვაციული და ევოლუციური ბიოლოგიის დარგებში სამეცნიერო კვლევების განხორციელება და შესაბამის სფეროებში მაღალკვალიფიციური ექსპერტების მომზადება;

   ბ) ინსტიტუტის განვითარება საქართველოსა და კავკასიის რეგიონში ეკოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების შესწავლის სფეროებში წამყვან სამეცნიერო-კვლევით ერთეულად;

   გ) საქართველოში ეკოლოგიის სფეროში კვლევის განვითარება თანამედროვე საერთაშორისო დონეზე.

2. მიზნებიდან გამომდინარე ეკოლოგიის ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

   ა) ეკოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების შემსწავლელ მეცნიერებათა დარგში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევა; კვლევის შედეგების გამოქვეყნება და დანერგვის ხელშეწყობა;

   ბ) სამეცნიერო კვლევის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება და თანამედროვე საერთაშორისო დონეზე განვითარება;

   გ) ეკოლოგიური მეცნიერების ცალკეულ მიმართულებებში ექსპერტების მომზადებაში მონაწილეობა ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის დონეებზე;

   დ) საერთაშორისო სამეცნიერო კავშირების განვითარება.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

ინსტიტუტი განახორციელებს სამ გრძელვადიან კვლევით პროგრამას, ესენია: „ალპური ეკოსისტემების კვლევა“, „მსხვილი ძუძუმწოვრების ეკოლოგიისა და კონსერვაციაა“ და „რაოდენობრივი ეკოლოგიისა და ევოლუციური კვლევა“.

პროგრამების ხელმძღვანელები, რომლებსაც ირჩევენ პროგრამაში ჩართულ პროფესორთა კრებაზე, ასევე ასრულებენ ინსტიტუტის დირექტორების ფუნქციას. თითოეული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კვლევითი პროექტები, მუშავდება პროგრამის ბიუჯეტი და იქმნება სამუშაო ჯგუფები კვლევითი პროექტების შესრულებისათვის. თუ კვლევით პროექტს განსხვავებულ პროგრამებში ჩართული მკვლევრები და პროფესორები ასრულებენ, პროექტის განხორციელების პერიოდში შესაძლებელია შერეული კვლევითი ჯგუფების შექმნა.

მუხლი 4. ინსტიტუტის მართვის ორგანოები და მათი ფუნქციები

1. ინსტიტუტის წარმომადგენლობითი ორგანოა დირექტორთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის სამივე პროგრამის დირექტორი.

2. დირექტორთა საბჭო:

   ა) შეიმუშავებს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, რომლებსაც წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

   ბ) შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ინსტიტუტის სტრუქტურული ცვლილებების პროექტს;

   გ) ახორციელებს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;

   დ) დირექტორთა საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებები მიიღება დირექტორთა კონსენსუსის წესით.

3. პროგრამების ხელმძღვანელი/დირექტორი პროგრამაში ჩართულ პროფესორებთან ერთად:

   ა) შეიმუშავებს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს პროგრამის ბიუჯეტს;

   ბ) შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პროგრამის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროექტებს;

   გ) ახორციელებს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

4. პროგრამის ხელმძღვანელი/დირექტორი

   ა) შეიძლება იყოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

5. დირექტორი/პროგრამის ხელმძღვანელი არის ინსტიტუტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი და ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

   ა) უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში ეფექტურ სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას;

   ბ) პასუხისმგებელია პროგრამის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

გ) უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს პროგრამის განვითარების გეგმას და სამეცნიერო-კვლევით პროექტებს;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს და პროგრამის მონაწილეთა კრების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) მონაცვლეობით თავმჯდომარეობს ინსტიტუტის საერთო კრების და პროგრამაში ჩართულ მკვლევართა და პროფესორთა სხდომებს;

ვ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და ხარისხის მართვის სამსახურს ინფორმაციას შესაბამისი პროგრამის ფარგლებში პროფესორების, მკვლევრებისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის თვითშეფასებას აკრედიტაციისთვის;

ვ) წარმოადგენს შესაბამის პროგრამას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ზ) დირექტორთა საბჭოს შეუძლია, შეთანხმების საფუძველზე წარმოადგინოს ინსტიტუტი მესამე პირებთან ურთიერთობაში;

თ) ახორციელებს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 5. ინსტიტუტის სხვა სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები

1. ინსტიტუტის საერთო კრება

   ა) ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს ინსტიტუტის დებულებას;

   ბ) ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს დებულებაში შესულ ცვლილებებს;

   გ) კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება პროფესორების, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების ნახევარზე მეტი.

2. პროგრამაში ჩართული პროფესორების და მკვლევრების კრება

   ა) ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს;

   ბ) იხილავს პროგრამის ბიუჯეტს.

მუხლი 6. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი: აკადემიური და ადმინისტრაციული, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული პერსონალი.

2. ინსტიტუტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორებისა და მკვლევრებისგან.

3. აკადემიური პერსონალის წევრები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეულ მკვლევრებთან ერთად.

4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

5. აკადემიური საბჭო ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

6. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

7. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული წესით.

8. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორის/პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ხელშეკრულებით შეიძლება მკვლევრის ან დამხმარე პერსონალის მოწვევა.

9. ინსტიტუტის ადმინისტრაციული პერსონალია ინსტიტუტის დირექტორი/ პროგრამის ხელმძღვანელი.

10. ინსტიტუტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან ინსტიტუტის საქმიანობისთვის აუცილებელი, საშტატო ნუსხით ან ხელშეკრულებით მოწვეული პირები.

მუხლი 7. სწავლება

1. ინსტიტუტის პროფესორების, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების მოვალეობაა სტუდენტების მომზადება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში.

2. ინსტიტუტის პროფესორს, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორს უფლება აქვს, უხელმძღვანელოს მაგისტრატურის სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას. დასაშვებია, რომ სამაგისტრო თემას ჰყავდეს ორი ხელმძღვანელი, რომელთაგან ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროფესორი უნდა იყოს.

3. ინსტიტუტის პროფესორსა და ასოცირებულ პროფესორს აქვთ უფლება უხელმძღვანელონ დოქტორანტს სადოქტორო ნაშრომის მომზადებისას.

4. ინსტიტუტის დირექტორთა საბჭო ამზადებს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგენს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების პროექტს.

მუხლი 8. სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი

1. სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ინსტიტუტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები.

2. დოქტორანტურაში სწავლის მსურველის განაცხადის საფუძველზე უნივერსიტეტის პროფესორი იღებს გადაწყვეტილებას და წერილობით აცნობებს კანდიდატს პასუხს იმის თაობაზე, თანახმაა თუ არა იყოს მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი, თუ ამ უკანასკნელს დოქტორანტურაში მიიღებენ.

3. თუკი უნივერსიტეტის პროფესორი თანხმობას განაცხადებს სადისერტაციო თემის ხელმძღვანელობაზე, კანდიდატი და პროფესორი თანხმდებიან თემის დასრულების ვადებსა და ხელმძღვანელობის ფორმაზე. დისერტაციის ხელმძღვანელი კონტროლს უწევს ინდივიდუალური გეგმისა და სადისერტაციო კვლევის შესრულებას.

4. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი, დასაშვებია, მეორე ხელმძღვანელი მოწვეული იყოს საქართველოს ან საზღვარგარეთის სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს.

მუხლი 9. ინსტიტუტის ქონება და ბიუჯეტი

1. ინსტიტუტის პროფესორები, მკვლევრები და სტუდენტები სარგებლობენ უნივერსიტეტის ქონებით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ინსტიტუტის პროგრამების დაფინანსების წყაროებია: საბიუჯეტო ასიგნებანი უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, სამეცნიერო და/ან სხვა სახის გრანტები, შემოწირულობანი, სამეურნეო საქმიანობით მიღებული და სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონით არის ნებადართული.

3. ინსტიტუტისა და პროგრამების ფინანსების განკარგვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 10. ცვლილების შეტანის წესი

დებულებაში შესატან ცვლილებას დირექტორთა საბჭოს წარდგინებით შეიმუშავებს და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის საერთო კრება.